სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/90 22. 11. 2019 წ.

დამატებით სემესტრში, ან დავალიანებაში დარჩენილ კრედიტებზე დარეგისტრირების დროს სტუდენტთა ფინანსური ვალდებულებისა და გადახდის ვადების განსაზღვრის შესახებ

1. დამტკიცდეს დამატებით სემესტრში, ან დავალიანებაში დარჩენილ კრედიტებზე დარეგისტრირების დროს სტუდენტთა ფინანსური ვალდებულები და გადახდის ვადები;

2. დამატებით სემესტრში, ან დავალიანებაში დარჩენილ კრედიტებზე რეგისტრაციის დროს კრედიტის (კრედიტების) მიხედვით განსაზღვრული გადასახადის დარიცხვა-გადახდა განხორციელდეს სრულად, შესაბამისი სემესტრის პირველი კვარტლისათვის დაწესებული ვადაში, თუ კრედიტის მოცულობა არ აღემატება 15-ს;

3. დამატებით სემესტრში, ან დავალიანებაში დარჩენილ კრედიტებზე რეგისტრაციისას, თუ კრედიტების რაოდენობა აღემატება 15-ს, განსაზღვრული გადასახადის დარიცხვა-გადახდა განხორციელდეს 15 კრედიტის ოდენობით შესაბამისი სემესტრის პირველი კვარტლისათვის დაწესებული ვადაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი მე-2- კვარტალის ვადის მიხედვით;

4. ვადების შესაბამისად დარიცხული სწავლის ქირა მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე არ ექვემდებარება შემცირებას ვადის დადგომის შემდგომ სტატუსის შეჩერების მიუხედავად;

5. დაევალოს კანცელარიის უფროს (ე. ცირეკიძე) და პროექტების, მარკეტინგისა და ღონისძიებების მართვის სამსახურს (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

საფუძველი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 აპრილის № 42(18/19) დადგენილება აწსუ სტუდენტების მიერ განსხვავებული და/ ან დავალიანებაში დარჩენილი კრედიტების ათვისების, პირობებისა და ფინანსური ვალდებულებების წესის შესახებ.

რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის

სამსახურის უფროსი: პროფ. იმერი ბასილაძე